



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 578  
---

22 ნოემბერი  
“ --- ” ----- 2024 წ

## ბ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი №8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი №8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის №24.1946.2192 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი №8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 148 846 (ას ორმოცდარვა ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, გიორგი მახარაძის (პ/ნ. 01017002544), თამარ მაჭავარიანის (პ/ნ. 01024009079) და ლევან ზერაკიძის (პ/ნ. 01024001131) თანასაკუთრებაში ქ. თბილისში, შატერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 903 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.12.003.041) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე

## ხელშეკრულება

## უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

--/--/2024წ.

**მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი**

1.1 საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ----- წლის ----- № ----- განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ----- წლის ----- № --- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ირაკლი თავართქილაძის მიერ (პ/ნ: 01024052796) და მეორეს მხრივ, **გიორგი მახარაძე** (პ/ნ 01017002544) **თამარ მაჭავარიანი** (პ/ნ 01024009079) და **ლევან ზერაკიძე** (პ/ნ 01024001131) (შემდგომში - „ქონების შემძენი“), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1.2 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო თანასაკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“): **ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.515) და**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № ----- - მომზადების თარიღი ----;

**ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი №8-ში მდებარე 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.026.017)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № ----- - მომზადების თარიღი ----;

1.3 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 903 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.14.12.003.041)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № --- მომზადების თარიღი ----;

**მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები**

2.1 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა **148 846 (ას ორმოცდარვა ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარი.**

2.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ვაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

2.3 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან.

### **მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა**

3.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულების 1.3. პუნქტში მითითებულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2 ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (პრივატიზების საგანზე) საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

3.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე, №01.17.01.026.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქონების შემძენის საკუთრების უფლება რეგისტრირდება შემდეგი შეზღუდვით: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით.

3.4 ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შესაძლებელია გაუქმდეს, მხოლოდ სააგენტოს მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების თაობაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები**

4.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.

4.2 ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას, იგი არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, ასევე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება.

4.3 მხარეებისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ №01.17.01.026.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დაკავებულია თვითნებურად თუმცა აღნიშნული არ მიიჩნევა მითითებული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.

4.4 ქონების შემძენი აცხადებს, რომ პრეტენზია არ გააჩნია და არც მომავალში არ ექნება ხელშეკრულებით გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

4.5 ქონების შემძენი ვალდებულია, რომ №01.17.01.026.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისას გაითვალისწინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაცია, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.17.01.026.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარების მიზნობრიობისათვის სამომავლოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს მიმდებარე განაშენიანების სართულიანობა. ამასთან, ქონების შემძენი კისრულობს ვალდებულებას, სამომავლოდ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენისა და პროექტის შეთანხმების საკითხი შეათანხმოს ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსთან.

4.6 ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4.7 საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურებამდე ქონების შემძენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შემძენი ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

4.8 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4.9 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა. ქონების შემძენს დაეკისრება მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

4.10 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად.

4.11 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება (ან მისი გამოჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მიექცევა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში). ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ქონების შემძენის ან სხვა ნებისმიერი პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

4.12 ქონების შემძენი ვალდებულია, თანასაკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას და სამშენებლო განვითარებისას დაიცვას და გაითვალისწინოს

კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

4.13 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების მომენტისათვის ყველა შესაძლოდ არსებული კომუნალური გადასახადის და დავალიანების გადახდა, უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.14 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების მოხსნა კომუნალური სააბონენტო აღრიცხვიდან (აღრიცხულ აბონენტად არსებობის შემთხვევაში) მისი თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვისა. აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა შესაძლოდ გამოვლენილი კომუნალური გადასახადის/დავალიანების გადახდა სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

## **მუხლი 5. პირგასამტეხლო**

5.1 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი). პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე ან/და სააგენტოს მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 4.10 პუნქტის მიხედვით ცალმხრივად შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

5.2 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

## **მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება**

6.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

## **მუხლი 7. სხვა პირობები**

7.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

7.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია 5(ხუთი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

7.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო**

**ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)**

-----

**გიორგი მახარაძე (პ/ნ 01017002544)**

-----

**თამარ მაჭავარიანი (პ/ნ 01024009079)**

-----

**ლევან ზერაკიძე (პ/ნ 01024001131)**

-----